საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

02 აპრილი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №100/17-1

--- 2017 წლის 15 ივნისის №100 საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლის --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 15 მარტის №100/17 დასკვნა 2018 წლის 02 აპრილის დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა განსახილველად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო სხდომაზე.

დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი განცხადებით, --- და ---, დოკუმენტების გაყალბების გზით უკანონოდ დაეუფლნენ მის ქონებას. აღნიშნულთან დაკავშირებით --- 2017 წლის 6 იანვარს სარჩელით მიმართა ---

სასამართლოს და მოითხოვა, გაყალბებული დოკუმენტების ბათილად ცნობა და ამ ყალბი საბუთების საფუძველზე მოპასუხეებისათვის გადაცემული უძრავი ქონების მის საკუთრებაში დაბრუნება.

მიუხედავად საქმის განხილვისათვის კანონით გათვალისწინებული 2 თვიანი ვადისა, საქმის განხილვა სასამართლოში საჩივრის წარდგენის დროისთვისაც არ დაწყებულა.

დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 9 იანვარს მოპასუხეების, --- და --- წინააღმდეგ --- სასამართლოს სარჩელით მიმართა --- და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და სადავო ქონების მის საკუთრებაში დაბრუნება მოითხოვა.

წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელემ იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე იმ მოტივით, რომ ის იყო სოციალურად დაუცველი პირი. 2017 წლის 16 იანვრის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა და --- გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

სასამართლო გზავნილი --- ჩაბარდა 2017 წლის 31 იანვარს (--- სასამართლო გზავნილის ჩაბარება ვერ მოხერხდა).

2017 წლის 9 თებერვალს მოპასუხე --- წარმოადგინა შესაგებელი, რომლითაც ის არ დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას.

2017 წლის 17 თებერვლის განჩინებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის სამმართველოს დაევალა, მოპასუხე --- სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების 07 დღის ვადაში ჩაბარება. აღნიშნული განჩინება და სასამართლო გზავნილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის სამმართველოს გაეგზავნა 2017 წლის 20 თებერვალს.

2017 წლის 2 მარტს მოსამართლე --- ეცნობა, რომ სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხისათვის ჩაბარება ვერ მოხერხდა, რადგან --- აღარ ცხოვრობდა აღნიშნულ მისამართზე.

2017 წლის 10 აპრილს მიღებულ იქნა განჩინება მოპასუხისათვის სარჩელის საჯარო შეტყობინების გზით ჩაბარების თაობაზე.

2017 წლის 9 ივნისს მოსამართლე --- მოხსენებითი ბარათით მიმართა --- სასამართლოს თავმჯდომარეს და განტვირთვის მიზნით ითხოვა, აღნიშნული საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემა.

2017 წლის 19 ივნისიდან საქმე განსახილველად გადაეცა სხვა მოსამართლეს.

2017 წლის 28 დეკემბრის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2018 წლის 17 იანვარს.

2018 წლის 9 იანვარს მიღებულ იქნა განჩინება, მოპასუხე --- სასამართლო სხდომის დროსა და ადგილის შესახებ ინფორმაციის საჯარო პუბლიკაციის გზით შეტყობინების თაობაზე.

2018 წლის 17 იანვრის სხდომა გადაიდო 2018 წლის 12 თებერვალს. 2018 წლის 26 იანვრის განჩინებით მოპასუხე --- საჯარო პუბლიკაციის გზით ეცნობა ინფორმაცია სასამართლო სხდომის დროსა და ადგილის შესახებ.

2018 წლის 12 თებერვლის მოსამზადებელ სხდომაზე წინასწარი მიმართვის გარეშე არ გამოცხადდა მოსარჩელე ---. საქმის განმხილველმა მოსამართლემ მიიღო განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების თაობაზე.

2.2. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლე --- 2017 წელს გადაცემული ჰქონდა დაახლოებით - 633 საქმე, რომელთაგანაც დაასრულა - 339 საქმე (53.6%).

საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“.

განსახილველ შემთხვევებში, იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრების საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლეების მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს, თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებითი განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

ამდენად, მოსამართლეების მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მოცემულ შემთხვევაში პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს, თუ როდიდან უნდა დაიწყოს საქმის განხილვის ვადის ათვლა - როგორც წესი საქმის განხილვის დაწყების თარიღად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს - სარჩელის/შესაბამისი განცხადების განსჯად/უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენის დროს (Poiss v. Austria; 50; Bock v. Germany, 35).

ამასთან, საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, 55; Papachelas v. Greece, 39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, 63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, 150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, 103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, 61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; 93; Tiece v. San Marino; 31; Suermeli v. Germany, 129.)

თუმცა აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, 43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; 98).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის

გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3[1] პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის პრეტენზია ეხება საქმის განხილვის უსაფუძვლოდ გაჭიანურებას. საქმეში არსებული დოკუმენტებით დასტურდება, რომ სარჩელი სასამართლოში შეტანილ იქნა 2017 წლის 9 იანვარს. დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიღებული იყო 2018 წლის 12 თებერვალს. ამდენად, საქმე სასამართლოს განხილვაში იმყოფებოდა 13 თვისა და 2 დღის განმავლობაში.

საქმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2017 წლის 9 იანვრიდან 2017 წლის 09 ივნისამდე საქმეს განიხილავდა მოსამართლე --- შესაბამისად, --- მიერ სამოქალაქო საქმის განხილვისათვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საპროცესო ვადის დარღვევა არ მომხდარა. მიუხედავად ამისა, საქმის განხილვის ამ 5 თვიან მონაკვეთში მოსამართლემ განახორციელა ყველა ის საპროცესო მოქმედებები, რომელიც აუცილებელი იყო საქმის განხილვის დროულად დასასრულებლად, კერძოდ, დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე, მიიღო განჩინება --- (მოპასუხე) სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ჩაბარების დავალების შესახებ და მიიღო განჩინება მოპასუხისათვის სარჩელის საჯარო შეტყობინების გზით ჩაბარების თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლე --- ქმედებებში არ აღინიშნება დისციპლინური გადაცდომის ნიშნები.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის

შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 02 აპრილის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით), მიიჩნია, რომ მოსამართლე --- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №100/17-1 მოსამართლის --- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი